

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
„სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიზეზია ტყის რესურსებით სარგებლობისათვის არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია უზრუნველყოფილი იქნას საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციით გარანტირებული ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის უფლება და შეიქმნას ტყითსარგებლობის და წყალსარგებლობის უფრო მეტი შესაძლებლობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შედეგად იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სატყეო სააგენტო (შემდგომში სააგენტო);

კანონპროექტით სააგენტოს მიენიჭება უფლებამოსილება უზრუნველყოს:

ა) ტყის ფონდის საზღვრების დადგენა-დაზუსტების მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა;

ბ) ტყის ფონდის მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა ბაზის შექმნა.

გ) ტყის მოვლა და აღდგენა. სააგენტო მოვლით ჭრას ახორციელებს ხელშეკრულებების საფუძველზე. სააგენტო არ არის უფლებამოსილი უშუალოდ განახორციელოს მოვლითი ჭრები.

დ) ტყის ფონდის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების დროს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობა;

ე) ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა, ხოლო ხანძრის საფრთხის შემთხვევაში მის სალიკვიდაციოდ შესაბამისი ზომების მიღება და საფრთხის შესახებ სათანადო ორგანოებისთვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება;

ვ) ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემა;

ზ) ტყის რესურსების წარმოშობის დოკუმენტის გაცემა;

თ) სალიცენზიო ობიექტის მომზადება;

ი) ამ კანონით დადგენილი ტყის ფონდის სარგებლობაში გაცემა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

კ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის თაობაზე ოქმის შედგენა, ტყის დაცვა უკანონო ჭრებისაგან;

ლ) სააგენტოს დებულებითა და სააგენტოს მიზნების შესაბამისად სხვა სახის მომსახურების განხორციელება;

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ასეთები არ არსებობენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი სხვა ორგანიზაციისათვის.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი – საქართველოს მთავრობა